

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს პარტნიორი

2018 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11



Grant Thornton

An instinct for growth™

დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს “პარტნიორის” აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “პარტნიორის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ აღიღი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაცხადებთ არაფერს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობაა აგრეთვე პასუხისმგებელი ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიწვევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, რიდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან დამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 19 სექტემბერი



- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან დამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 19 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>				
ძირითადი საშუალებები	4	960	567	261
არამატერიალური აქტივები	5	60	67	61
		1,020	634	322
<i>მოკლევადიანი აქტივები:</i>				
მარაგები		17	36	24
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,172	2,907	1,626
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	295	113	31
		3,484	3,056	1,681
სულ აქტივები		4,504	3,690	2,003
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები:</i>				
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(188)	(477)	(465)
		(188)	(477)	(465)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
სესხები		-	1,082	-
		-	1,082	-
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	3,432	2,942	1,476
სესხები	9	1,260	143	992
		4,692	3,085	2,468
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,504	3,690	2,003

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 29 ივლისს:

ილია შარიქაძე
დირექტორი

თინათინ ჯალიაშვილი
ფინანსური დირექტორი

ა. ჯალიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულია გრძელვადიან პერიოდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი		2018 წლის 31 შენიშვნა დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>				
ძირითადი საშუალებები	4	960	567	261
არამატერიალური აქტივები	5	60	67	61
		1,020	634	322
<i>მოკლევადიანი აქტივები:</i>				
მარაგები		17	36	24
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,172	2,907	1,626
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	295	113	31
		3,484	3,056	1,681
სულ აქტივები		4,504	3,690	2,003
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები:</i>				
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(188)	(477)	(465)
		(188)	(477)	(465)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
სესხები		-	1,082	-
		-	1,082	-
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	3,432	2,942	1,476
სესხები	9	1,260	143	992
		4,692	3,085	2,468
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,504	3,690	2,003

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 29 ივლისს:

ილია შარიქაძე

დირექტორი

თინათინ ჯალიაშვილი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-33 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
შემოსავალი	10	33,495	28,500
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(26,369)	(22,801)
საერთო მოგება		7,126	5,699
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	12	(2,429)	(2,153)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(4,288)	(3,343)
სხვა ხარჯები		(17)	(27)
სხვა შემოსავლები		39	25
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		431	201
ფინანსური ხარჯები		(104)	(128)
სხვა ფინანსური ხარჯები	14	(36)	(82)
მოგება დაბეგვრამდე		291	(9)
მოგების გადასახადი		(2)	(3)
წლის მოგება/ზარალი		289	(12)
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალების გადაფასება		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		289	(12)

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქოს 11-33 გვერდებზე
წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2017 წლის 1 იანვარი (არააუდირებული)	(465)	(465)
წლის მოგება/(ზარალი) (არააუდირებული)	(12)	(12)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) (არააუდირებული)	(12)	(12)
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	(477)	(477)
წლის მოგება/(ზარალი)	289	289
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	289	289
2018 წლის 31 დეკემბერი	(188)	(188)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-33 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტებული)
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
წლის მოგება/(ზარალი)	289	(12)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	205	133
საპროცენტო ხარჯი	104	128
მოგების გადასახადის ხარჯი	2	3
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	36	82
<i>საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<i>636</i>	<i>334</i>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(265)	(1,281)
ცვლილება მარაგებში	19	(12)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	490	1,466
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>880</i>	<i>507</i>
გადახდილი პროცენტი	(105)	(140)
გადახდილი მოგების გადასახადი	(2)	(3)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>773</i>	<i>364</i>
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(605)	(445)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(11)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	14	12
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<i>(591)</i>	<i>(444)</i>
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,564	4,540
სესხების დაფარვა	(6,564)	(4,378)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>	<i>-</i>	<i>162</i>
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა	182	82
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	113	31
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	295	113

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-33 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საჭმთანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს “პარტნიორი” არის სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ახდენს ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში. კომპანია 2014 წელს დაარსდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს “პარტნიორი” დარეგისტრირებულია მისამართზე: მ. ქავთარაძის 11, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 158 თანამშრომელს (2017: 127 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით და ძირითადი საშუალებების, რომელიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე

საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-15 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2018 წელს, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და მიღებულია კომპანიის მიერ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	დასახელება	ეფექტური თარიღი
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.6)	2018 წლის 1 იანვარი
ფასს 15	ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შენიშვნა 3.11)	2018 წლის 1 იანვარი
ბასს 28	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	2018 წლის 1 იანვარი

სტანდარტები, განახლებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ზოგიერთი ახალი სტანდარტი, შესწორება და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია, გამოქვეყნებული ბასს–ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა კომპანიის მიერ. ინფორმაცია, ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, მოცემულია ქვემოთ.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:

	ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ
ფასს 16, იჯარა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავდა იჯარის აღრიცხვის ახალი სტანდარტი.	2019 წლის 1 იანვარი

(ა) ახალ სტანდარტს არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეიჯარეს მიერ იჯარის აღიქვაზე. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს რომ მოიჯარემ ბალანსში იჯარა აღიაროს როგორც საიჯარო ვალდებულება აქტივის გამოყენების უფლებასთან კორესპონდენციაში.

(ბ) მოიჯარე ვალდებულია ყველა იჯარისთვის გამოიყენოს შეფასების ერთნაირი მოდელი, თუმცა მას აქვს უფლება არ აღიაროს იჯარა ფინანსურად მოკლევადიანი იჯარის ან საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულების შემთხვევაში.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:

**ეფექტურია
სააღრიცხვო წლის
დასაწყისისთვის ან
შემდგომ**

(გ) ჩვეულებრივ, აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის აღიარების მოდელი მსგავსია დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის, სადაც ფინანსური მდგომარეობის უწყისში საპროცენტო და ცვეთის ხარჯები აღიარებულია განცალკევებულად.

სტანდარტის ამ გადახე აღრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღისთვის გათვალისწინებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ფასს 16 –ზე გადასვლა შესაძლებელია რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015–2017 ციკლი, განახლებები ფასს 3, ფასს 11, ბასს 12 და ბასს 23

2019 წლის 1
იანვარი

ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მიდგომასთან. ფასიკ 23 ხელმძღვანელობს თუ როგორ აისახება ცვალებადობის ეფექტები მოგების გადასახადის აღრიცხვაში ბასს 12-ის მიხედვით, კერძოდ:

ცვალებადი საგადასახადო მიდგომები ერთობლივად უნდა განიხილებოდეს თუ არა, დაშვებები საგადასახადო ზედამხედველი პირების მიერ ჩატარებული შემოწმებებისთვის, დასაბეგრი მოგების (ზარალის) განსაზღვრა, საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო განაკვეთები და ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ეფექტი .

ცვლილებები ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები, დაკავშირებული წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით. აღნიშნული გულისხმობს ფასს 9-ში არსებული მოთხოვნების ცვლილებას შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს ამორტიზებული ღირებულებით შეფასება (ან, ბიზნეს მოდელის მიხედვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში) უარყოფითი კომპენსაციის შემთხვევაშიც კი.

2019 წლის 1
იანვარი

ცვლილება სტანდარტში ბასს 19 დაქირავებულ პირთა კომპენსაციები: ცვლილებები განმარტავს: კომპანია იყენებს განახლებულ აქტუარული შეფასების მეთოდს მიმდინარე მომსახურების ღირებულების და პერიოდში წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის და ახდენს აქტივის ზედა ზღვრის იგნორირებას შეთანხმებასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის კალკულაციისას, რაც ცალკე განიხილება სხვა სრულ შემოსავალში.

2019 წლის 1
იანვარი

ცვლილებები ბასს 28-ში, ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული გრძელვადიან წილის ფლობასთან მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. აღნიშნული ცვლილება განმარტავს, რომ საწარმო რომელიც იყენებს ფასს 9-ს, ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადიან წილის ფლობისთვის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, რომელიც ქმნის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში წმინდა ინვესტიციის ნაწილს, კაპიტალის მეთოდი არ გამოიყენება.

2019 წლის 1
იანვარი

ცვლილებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებების შეტანის თაობაზე – ცვლილებები შემდეგი სტანდარტებისთვის ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და SIC-32 ეხება მითითებებსა და ციტატებს ახალი ჩარჩოს შესაბამისად, ან მითითებებს იმის შესახებ, სადაც კონცეპტუალური ჩარჩოს სხვა ვერსია გამოიყენება.

2020 წლის 1
იანვარი

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება კომპანიის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

მიუხედავად ამისა, კომპანია ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას მშობელი კომპანიის კონსოლიდაციის მიზნებისთვის, რომელიც წინა წლებში წარმოადგენდა ფასს-ების მიხედვით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*.

შენიშვნა 2.5-ში იხილეთ სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო ეფექტური და არ გამოყენებულა ადრეულად კომპანიის მიერ.

შენიშვნა 22-ში იხილეთ ფასს-ზე გადასვლის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება

განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწვება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	-	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	-	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	-	5 წელი

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად

მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, კომპანიას შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიამ შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს მოდელის შეფასება:

კომპანია აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჯას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, კომპანია ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

კომპანია ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომპანია გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია მოელოდა).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთენსიკელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც კომპანიისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელოდა, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. კომპანია იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

კომპანიამ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ იმ შემთხვევაშია, როცა კომპანიამ ამოწერა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს კომპანიის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.6.1. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთოვლი განხორციელების შესახებ.

3.7 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.8 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.9 კაპიტალი

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

3.10 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2017 წლის 1 იანვარი				
(არააუღირებული)	89	58	283	430
შემოსვლა	268	68	109	445
გასვლა	(5)	(8)	(33)	(46)
2017 წლის 31 დეკემბერი				
(არააუღირებული)	352	118	359	829
შემოსვლა	319	25	261	605
გასვლა	(5)	(7)	(20)	(32)
2018 წლის 31 დეკემბერი	666	136	600	1,402
<i>დაგროვილი ცვეთა</i>				
2017 წლის 1 იანვარი				
(არააუღირებული)	24	22	123	169
წლის ცვეთა	34	16	77	127
გასვლის შედეგად ელიმინირება	(3)	(5)	(26)	(34)
2017 წლის 31 დეკემბერი	55	33	174	262
წლის ცვეთა	87	19	92	198
გასვლის შედეგად ელიმინირება	(1)	(3)	(14)	(18)
2018 წლის 31 დეკემბერი	141	49	252	442
<i>საბაღალისო ღირებულება</i>				
2017 წლის 31 დეკემბერი	297	85	185	567
(არააუღირებული)				
2018 წლის 31 დეკემბერი	525	87	348	960

5 არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	უფლებები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2017 წლის 1 იანვარი (არააუღირებული)	-	75	75
შემოსვლა	11	-	11
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუღირებული)	11	75	86
2018 წლის 31 დეკემბერი	11	75	86
<i>აკუმულირებული ამორტიზაცია</i>			
2017 წლის 1 იანვარი (არააუღირებული)	-	14	14
წლის ცვეთა	-	6	6
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(1)	(1)
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუღირებული)	-	19	19
წლის ცვეთა	1	6	7
2018 წლის 31 დეკემბერი	1	25	26
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუღირებული)	11	56	67
2018 წლის 31 დეკემბერი	10	50	60

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუღირებული)
სავაჭრო მოთხოვნები	3,165	2,900
წინასწარ გადახდილი ავანსები	5	5
სხვა მოთხოვნები	2	2
	3,172	2,907

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-90 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. არცერთი სავაჭრო და სხვა ვალდებულება არ არის 365 დღეზე მეტი ხანდაზმულობის. კომპანიის მენეჯმენტს არ შეუქმნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხი, რადგან ისტორიულად არ დამდგარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შედეგი ან მოვენა, რომელიც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებული ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17-ში.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
საბანკო ანგარიშები	242	100
ნაღდი ფული საღაროში	53	13
	295	113

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებული ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17-ში.

8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
სავაჭრო ვალდებულებები	3,322	2,842
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	67	51
საგადასახადო ვალდებულებები	43	49
	3,432	2,942

9 სესხები

ათასი ლარი	მიმდინარე	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
	2018 წლის 31 დეკემბერი	
უზრუნველყოფილი სესხები	1,117	1,082
ოვერდრაფტი	143	143
	1,260	1,225

კომპანიის აქვს საკრედიტო ხაზი თიბისი ბანკში 1 წლის ვადით და წლიური 10.5% საპროცენტო განაკვეთით.

10 შემოსავალი

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	32,492	27,736
შემოსავალი მომსახურებიდან	2,124	1,871
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(1,121)	(1,107)
	33,495	28,500

11 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	27,300	23,742
დაბრუნებული საქონლის თვითღირებულება	(931)	(941)
	<u>26,369</u>	<u>22,801</u>

12 დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
მარკეტინგის ხარჯები	2,425	2,151
დისტრიბუცია	4	2
	<u>2,429</u>	<u>2,153</u>

დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს საწვავის ხარჯებს, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს, რეკლამის ხარჯებს და სხვა დაკავშირებულ ხარჯებს.

13 აღმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
თანამშრომელთა ანაზღაურება	2,277	1,738
მარაგების ჩამოწერის ზარალი	904	887
საწვავის ხარჯები	455	260
რემონტი	232	124
ცვეთა და ამორტიზაცია	205	133
იჯარის ხარჯი	79	69
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	59	64
სხვა ხარჯები	31	35
კომუნალური ხარჯი	15	12
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	8	4
მივლინების ხარჯები	7	-
ბანკის ხარჯები	4	5
საოფისე ხარჯები	12	12
	<u>4,288</u>	<u>3,343</u>

14 სხვა ფინანსური ხარჯი

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
<i>ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან:</i>		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(36)	(82)
	(36)	(82)

15 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

15.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სახიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

15.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საერთო მოგების მარჟა გააგრძელებს ზრდას და მიაღწევს განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს ვარაუდი ეფუძნება კომპანიის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

16 ფინანსური ინსტრუმენტები

16.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

16.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
<i>ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,167	2,902
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	295	113
	<u>3,462</u>	<u>3,015</u>

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
<i>ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები:</i>		
სესხები	1,260	1,225
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,432	2,942
	<u>4,692</u>	<u>4,167</u>
წმინდა პოზიცია	<u>(1,230)</u>	<u>(1,152)</u>

17 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია კომპანიის სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

ათასი ლარი

2018 წლის 31 დეკემბერი

აშშ დოლარი

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

1,117

სულ ფინანსური ვალდებულებები

1,117

წმინდა პოზიცია

(1,117)

ათასი ლარი

2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)

აშშ დოლარი

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

1,082

სულ ფინანსური ვალდებულებები

1,082

წმინდა პოზიცია

(1,082)

ცხრილი ასახავს ლარის დოლარის მიმართ 10% (2017: 10%) კლების და მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 10% (2017: 10%) არის მენეჯმენტის მიერ შეფასებული შესაძლო ცვლილება გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი (2017: 10%) ცვლილებით უცხოური ვალუტის განაკვეთში.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებით 10% (2017: 10%)-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

აშშ დოლარის გავლენა

	2018	2017
მოგება/ზარალი	112	108

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან და ნაშთებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ობლიგაციებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ქვემოთმოცემული ცხრილი წარმოადგენს კონტრაქტის საშუალო და ეფექტურ საპროცენტო განაკეთს.

2018

	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები:		
სესხები		
ქართული ლარი	11 %	10.5%
აშშ დოლარი	9%	9%

2017 (არააუდირებული)

	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები:		
სესხები		
ქართული ლარი	11%	10.5%
აშშ დოლარი	9%	9%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი გამოწვეულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
მოთხოვნები	3,167	2,902
ფული საბანკო ანგარიშებზე	242	100
	<u>3,409</u>	<u>3,002</u>

არნგარიშის წარდგენის თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ვველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური

ვადდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვადდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.5%	9.00%	
6 თვეზე ნაკლები	3,322	141	1,167	4,630
6 თვიდან 1 წლამდე	43	-	-	43
	3,365	141	1,167	4,673
2017 (არააუდირებული)	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.5%	9.00%	
6 თვეზე ნაკლები	2,842	142	50	3,034
6 თვიდან 1 წლამდე	49	-	49	98
1-5 წლამდე	-	-	1,131	1,131
	2,891	142	1,230	4,263

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

18 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისგან, რომელიც მოიცავს სესხებს.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტებული)
მოთიანი კაპიტალი	(188)	(477)
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(295)	(113)
კაპიტალი	(483)	(590)
მოთიანი კაპიტალი	(188)	(477)
სესხები	1,260	1,225
სრული მოზიდული სახსრები	1,072	748
კაპიტალის თანაფარდობა მოზიდულ სახსრებთან	(0.45)	(0.79)

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები

19.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვეველობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვეველობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

19.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია სრულად ვერ აზღვევს მის ოპერაციებთან დაკავშირებულ ობიექტებს, საქმიანობის შეფერხებას ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს, ქონების ზიანთან თუ გარემოს დაცვასთან მიმართებით. მანამ სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

19.3 ბადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

20 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	ჯამი
2018 წლის 1 იანვარი (არაუდირებული)	1,082	143	1,225
<i>ფულადი ნაკადები</i>			
სესხის აღება	-	6,564	6,564
სესხის დაფარვა	-	(6,670)	(6,670)
<i>არაფულადი</i>			
დარიცხული პროცენტი	-	104	104
ზარალი საკურსო სხვაობებიდან	35	2	37
რეკლასიფიკაცია	(1,117)	1,117	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	1,260	1,260

21 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი სათაო და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და მმართველი ხელმძღვანელობა.

21.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს სს ნიკორა, რომელიც ფლობს კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%-ს.

21.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
<i>მშობელი და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები:</i>		
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	2,124	1,869
შემოსულობები აღებული სესხებიდან	131	1,136
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვა	27,374	23,681
მომსახურების შესყიდვა	105	108
სესხების დაფარვა	(95)	(54)
პროცენტის დაფარვა	(96)	(46)
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	94	47
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	34	-

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
<i>ნაშთები</i>		
<i>მშობელი და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები:</i>		
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	17
აღებული სესხები	(1,118)	(1,083)
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,632)	(2,311)

21.3 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

მმართველმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ანაზღაურებაში.

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
ხელფასები და ბონუსები	251	183

22 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოქვეყნება

როგორც შენიშვნა 3.1-შია განხილული, კომპანიამ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოქვეყნება*. კომპანიამ გაატარა ყველა ის კორექტირება, რომელიც საჭიროა ფასს-ის შესაბამისად. კომპანიის მიერ სხვა დამატებითი კორექტირებები არ გატარებულა. ფასს სტანდარტებზე გადასვლის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია ქვემოთ.

მნიშვნელოვანი საკითხები

კომპანიის ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სამ ფინანსური მფლობელობის ანგარიშგებას (მანამდე ბალანსი), ორ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას (მანამდე შემოსავლის ანგარიშგება), ორ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ორ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის შესადარის ინფორმაციას ყველა წარდგენილი ანგარიშგებისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფასს-ის მიხედვით ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირველად მომზადდა არაპირდაპირი მეთოდით, რომელშიც მოგება/ზარალი დაკორექტირდა არაფულადი ტრანზაქციების, წარსული ან მომავალი საოპერაციო ფულადი შემოდინებების ან გადახდების დარიცხვებით ან გადავადებებით და ისეთი ხარჯებითა და შემოსავლებით რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან ფინანსურ საქმიანობასთან.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფასს-ის პირველად გამოქვეყნებისას კომპანიამ მიიღო ახალი და გადახედილი სტანდარტები, რომელიც წარმოდგენილია შენიშვნა 2.5-ში, ისევე როგორც პირველად თანდართული სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები, ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკისა და მიზნების ჩათვლით (იხილეთ შენიშვნა 16 და 17).

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება “პარტნიორი“



მმართველობის ანგარიშგება
2018 წელი

შინაარსი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	4
1.1.	შპს „პარტნიორი“-ს შესახებ მოკლედ	4
1.2.	კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია	5
1.3.	ბიზნესი და ოპერაციები.....	5
1.3.1.	ბიზნეს მოდელი	5
1.3.2.	განვითარების სტრატეგია	5
1.4.	ფინანსური ინფორმაცია.....	6
1.4.1.	შპს „პარტნიორი“-ს ფინანსური ანგარიშგებები	6
1.4.2.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა.....	9
1.4.3.	მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა	10
1.5.	ფინანსური რისკების მართვა.....	11
1.5.1.	საბაზრო რისკი	11
1.5.2.	საკრედიტო რისკი.....	12
1.5.3.	ლიკვიდურობის რისკი	12
1.5.4.	კაპიტალის რისკის მართვა.....	13

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარტნიორი“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

29 ივლისი 2019 წელი

ილია შარტავა

დირექტორი

შპს „პარტნიორი“



წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარტნიორი“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

29 ივლისი 2019 წელი

ილია შარიქაძე

დირექტორი

შპს „პარტნიორი“

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. შპს „პარტნიორი“-ს შესახებ მოკლედ

შპს „პარტნიორი“ ბაზარზე ოპერირებს 2015 წლიდან. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნიკორას ჰოლდინგში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუცია.

შპს „პარტნიორი“ წარმოადგენს სს „ნიკორა“-ს შვილობილ კომპანიას; „ნიკორა“ ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგი (ჯგუფი), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას, აგრეთვე ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციისა და ღვინის საწარმოებს, კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ კომპანიებს.

შპს „პარტნიორი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპანიას ჰოლდინგ ნიკორას შემადგენლობაში.

შპს პარტნიორი - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ლ)	2018	2017	ცვლ.(%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	33,495	28,500	17.5%
საერთო მოგება	7,126	5,699	25.1%
წლის მოგება	289	-12	-
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	2018	2017	ცვლ.(%)
სულ აქტივები	4,504	3,690	22.1%
სულ ვალდებულებები	4,692	4,168	12.6%
სულ კაპიტალი	-188	-477	-60.6%
ფინანსური მაჩვენებლები	2018	2017	ცვლ.(%)
საერთო მოგების მარჟა (%)	21%	20%	6.4%
მოგების მარჟა (%)	1%	0%	-
არაფინანსური მაჩვენებლები	2018	2017	ცვლ.(%)
დასაქმებულთა რაოდენობა	158	127	24.4%

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „პარტნიორი“ წარმოადგენს სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალ კომპანიას, რომელიც ახორციელებს „ნიკორას“, „კორიდას“, „მზარეულის“, „დღის“, „ოკეანეს“ და სხვა ბრენდების პროდუქციის დისტრიბუციას ისეთ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც არ არიან „ნიკორას“ ჯგუფის წევრები.

კომპანია დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია პროდუქციის ასორტიმენტის ზრდისა და ბიზნესის განვითარებისკენ.

1.3. ბიზნესი და ოპერაციები

1.3.1. ბიზნეს მოდელი

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს კომპანიის მისიას და გამოწვევებს. სტრუქტურულად მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება - გაყიდვების გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია დასახული გეგმების შესრულებაზე და ადმინისტრაციული გუნდი, რომელიც მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს გაყიდვების გუნდს მთავარი მიზნის შესრულებაში.

კომპანიის მიზანია ჰყავდეს მოტივირებული და მონდომებული თანამშრომლები, რის გამოც, კომპანიაში მოქმედებს საკმაოდ ეფექტური მოტივაციის სქემა, რომლის შედეგადაც კომპანიის გაყიდვების ზრდა და განვითარება კომპანიის თითოეული თანამშრომლის ანაზღაურებასა თუ წინსვლაზე აისახება.

პორტფელში არსებული პორდუქტების სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის სადისტრიბუციო მოდელში გამოიყენება შეკვეთების გენერირების როგორც ე.წ. van sale, ასევე, pre sale მეთოდები. შედეგად, სახეზე გვაქვს მიტანის გამართული და ძალზე ეფექტური სერვისი. პროდუქციის დისტრიბუცია ხორციელდება კომპანიის საკუთრებაში არსებული შესაბამისად აღჭურვილი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

მომხარებელთა ბაზა ძალიან მრავალრიცხოვანია. იგი დაახლოებით 10 000-მდე ობიექტს ითვლის. ესენი არიან როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის დანიშნულების მცირე, საშუალო, მსხვილი და ქსელური ობიექტები. კლიენტების ამგვარი მრავალრიცხოვნობა გარკვეულწილად განაპირობებს ბაზრის დივერსიფიცირებულობას და არ წარმოადგენს რამოდენიმე მომხარებელზე კონცენტრირებულ სფეროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ბოლო პერიოდის ტენდენციები, რომელიც ხასიათდება ქსელური მარკეტების განვითარებით და არაქსელური ობიექტების რაოდენობის მკვეთრი შემცირებით, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენს თვითონ დისტრიბუციის როლის და სტრუქტურის განვითარებაზე.

ადგილობრივი პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით.

1.3.2. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში კომპანია გეგმავს სასაწყობო მეურნეობის გაფართოებას. ასევე, ნიკორას სუპერმარკეტების ქსელის - „სს ნიკორა ტრეიდის“ - დისტრიბუციით უზრუნველყოფას.

1.4. ფინანსური ინფორმაცია

შპს „პარტნიორი“ 2018 წელს პირველად წარადგენს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აუდირებულია - „Grant Thornton International“-ის წევრი შპს „გრანტ თორნტონის“ მიერ. კომპანია წინა წლებშიც ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სტანდარტებით, დედა კომპანიის მოთხოვნით, რომელიც, თავის მხრივ, ამზადებდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო მის აუდიტს ახორციელებდა - აგრეთვე „Grant Thornton International“-ის წევრი შპს „გრანტ თორნტონი“.

1.4.1. შპს „პარტნიორი“-ს ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
ძირითადი საშუალებები	960	567	261
არამატერიალური აქტივები	60	67	61
	1,020	634	322
<i>მოკლევადიანი აქტივები:</i>			
მარაგები	17	36	24
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,172	2,907	1,626
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	295	113	31
	3,484	3,056	1,681
სულ აქტივები	4,504	3,690	2,003
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვები:</i>			
აკუმულირებული მოგება/ზარალი	-188	-477	-465
	-188	-477	-465
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	-	1,082	-
	-	1,082	-
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,432	2,942	1,476
სესხები	1,260	143	992
	4,692	3,085	2,468
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,504	3,690	2,003

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
შემოსავალი	33,495	28,500
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(26,369)	(22,801)
საერთო მოგება	7,126	5,699
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(2,429)	(2,153)
ადმინისტრაციული ხარჯები	(4,288)	(3,343)
სხვა ხარჯები	-17	-27
სხვა შემოსავლები	39	25
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	431	201
ფინანსური ხარჯები	-104	-128
სხვა ფინანსური ხარჯები	-36	-82
მოგება დაბეგვრამდე	291	-9
მოგების გადასახადი	-2	-3
წლის მოგება/ზარალი	289	-12
სხვა სრული შემოსავალი		
ძირითადი საშუალების გადაფასება	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	289	-12

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

ათასი ლარი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2017 წლის 1 იანვარი (არააუდირებული)	-465	-465
წლის მოგება/(ზარალი) (არააუდირებული)	-12	-12
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) (არააუდირებული)	-12	-12
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-477	-477
წლის მოგება/(ზარალი)	289	289
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	289	289
2018 წლის 31 დეკემბერი	-188	-188

ფულადი ნაკადების ანგარიშგება:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
წლის მოგება/(ზარალი)	289	-12
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	205	133
საპროცენტო ხარჯი	104	128
მოგების გადასახადის ხარჯი	2	3
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	36	82
<i>საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</i>	636	334
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	-265	(1,281)
ცვლილება მარაგებში	19	-12
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	490	1,466
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	880	507
გადახდილი პროცენტი	-105	-140
გადახდილი მოგების გადასახადი	-2	(3)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	773	364
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-605	-445
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-11
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	14	12
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	-591	-444
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,564	4,540
სესხების დაფარვა	(6,564)	(4,378)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>	-	162
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა	182	82
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	113	31
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	295	113

1.4.2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სრულმა აქტივებმა 4.5 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 3.7 მილიონი ლარი იყო. აქტივების ზრდა განპირობებული იყო როგორც ძირითადი საშუალებების - მანქანა-დანადგარების და კომპანიის ავტოპარკის განახლებით, ისე მიმდინარე აქტივების ზრდით.

მოკლევადიანი აქტივები წარმოადგენს ჯამური აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (77%), ეს განპირობებულია კომპანიის სპეციფიკით - შპს “პარტნიორი” სადისტრიბუციო კომპანიაა და სწორედ ამიტომ, მისი აქტივების უდიდესი ნაწილი უჭირავს სავაჭრო მოთხოვნებს.

2018 წლის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ჯამური აქტივების 70%-ს შეადგენდა (2017 წლის ბოლოს 79%); კომპანიის დებიტორების უდიდეს ნაწილს შეადგენენ მსხვილი ქსელური სავაჭრო ობიექტები.

რაც შეეხება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგებს, კომპანია მის მინიმალურ დონეზე შენარჩუნებას ახერხებს ე.წ. Just-in-time პრინციპის გამოყენების საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მომწოდებლებისაგან საქონლის შესყიდვა ხორციელდება უშუალოდ კლიენტებისაგან შეკვეთების მიღების შემდეგ, აღნიშნული შეკვეთების საფუძველზე.

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. ამასთან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებმა 2018 წლის ბოლოს მთლიანი ვალდებულებებისა და კაპიტალის 76%-ს შეადგინა (2017 წლის ბოლოს 80%). სავაჭრო კრედიტორების უდიდეს ნაწილს სს „ნიკორა“-ს ჰოლდინგში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები შეადგენენ, რომლებისგანაც კომპანია ყიდულობს სარეალიზაციო საქონელს.

სესხები:

სესხების სტრუქტურა შემდეგნაირია:

ათას ლარებში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სესხები	1,117	-	1,082	-
ოვერდრაფტი	143	143	-	-
	-	-	-	-
სულ	1,260	143	1,082	0

კომპანიას სესხი აღებული აქვს სათაო კომპანია სს „ნიკორა“-სგან. სესხის მოქმედების ვადა არის 2019 წლის 30 სექტემბრამდე, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%-ს. ოვერდრაფტები განთავსებულია თიბისი ბანკში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.50%-ს.

სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგენდა 188 ათას ლარი, რაც წინა წელთან შედარებით დაგროვილი ზარალის 289 ათასი ლარით შემცირებას ნიშნავს.

1.4.3. მოგება-ზარალის ანგარიშების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

2018 წელს კომპანიის შემოსავლებმა 33.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 17.5%-იან ზრდას გულისხმობს. შემოსავლებისა და შესაბამისად, საერთო მოგების ზრდის შედეგად, კომპანიამ შეძლო 2018 წელი 289 ათას ლარიანი მოგებით დაესრულებინა, განსხვავებით 2017 წლისაგან, როდესაც ზარალი 12 ათასი ლარი იყო.

ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს მარკეტინგული დანახარჯები (მთლიანი საოპერაციო ხარჯების 36%), რაც გამოწვეულია კომპანიის მიერ აქტიური თრეიდ მარკეტინგის კამპანიის წარმოებით და სახელფასო ხარჯები (მთლიანი საოპერაციო ხარჯების 34%).

1.5. ფინანსური რისკების მართვა

1.5.1. საბაზრო რისკი

კომპანიის საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომელიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან.

კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია სათაო კომანია სს „ნიკორასაგან“ აღებული სესხით, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს, განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ათასი ლარი

2018 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

სულ ფინანსური ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

აშშ დილარი

1,117

1,117

(1,117)

ათასი ლარი

აშშ დოლარი

2017 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

სულ ფინანსური ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

1,082

1,082

(1,082)

საანგარიშგებო პერიოდში „პარტნიორი“ არ ახდენდა უცხოური ვალუტის რისკების ჰეჯირებას. შემდეგ ცხრილში მოცემულია ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის თეორიული 10%-ანი გამყარების შედეგი კომპანიის მოგება-ზარალზე. მაგალითი საილუსტრაცია, რადგან რეალური შედეგი დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე და ნაშთებზე:

ათასი ლარი

აშშ დოლარის გავლენა

2018

2017

მოგება-ზარალი

112

108

1.5.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ამ რისკის ეფექტი წარმოიქმნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისაგან, მაგალითად მოთხოვნებისაგან.

კომპანიისთვის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,417	877
საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი	160	63
	<u>1,577</u>	<u>940</u>

ფინანსური ანგარიშების გამოშვების თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

1.5.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდურობის აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება.

ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირითად თანხას, ასევე პროცენტს:

2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
ათასი ლარი		10.5%	9.00%	
6 თვეზე ნაკლები	3,322	141	1,167	4,630
6 თვიდან 1 წლამდე	43	-	-	43
	3,365	141	1,167	4,673

1.5.4. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს აკუმულირებულ მოგებას და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	(188)	(477)
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(295)	(113)
კაპიტალი	(483)	(590)
მთლიანი კაპიტალი	(188)	(477)
სესხები	1,260	1,225
სრული მოზიდული სახსრები	1,072	748
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	(0.45)	(0.79)